სებასტიის მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ ჩერკასში ტაძრის მიტაცებასა და მღვდელთმთავრის ცემას ბარბაროსული ქმედებები უწოდა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 23.10.2024. სებასტიის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი (იერუსალიმის საპატრიარქო) განცხადებას ავრცელებს, სადაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვს.

„დღეს განსაკუთრებით განვიცდით მწუხარებას და ტკივილს ღაზასა და ლიბანში მიმდინარე ომის გამო. ჩვენ გულმოდგინედ ვლოცულობთ და ღმერთს ვთხოვთ, რომ საომარი მოქმედებები მალე დასრულდეს, შეწყდეს სისხლისღვრა და შეჩერდეს ნგრევა“, – ნათქვამია სებასტიის მთავარეპისკოპოს თეოდოსის განცხადებაში, რომელიც სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა.

ამასთან, იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესია შეშფოთებულია უკრაინაში შექმნილი ვითარებით. „დევნა, რომელსაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია განიცდის უკრაინის ხელისუფლების მხრიდან,

დღემდე არ შეწყვეტილა, პირიქით, ყოველდღიურად მძაფრდება, რასაც თან ახლავს სისასტიკე, აგრესია და ბარბაროსული ქმედებები“, –აღნიშნა მთავარეპისკოპოსმა. ყველა ეს ქმედება ხორციელდება ე.წ. „მეუ“-ს მხარდაჭერით, რომელიც შეიქმნა უკრაინის მიწაზე ერთადერთი კანონიკური და ლეგიტიმური მართლმადიდებელი ეკლესიის ჩასანაცვლებლად, რომელსაც მეთაურობს უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრე.

არ წყდება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებისა და ქონების მიტაცება, ეპისკოპოსებზე და სასულიერო პირებზე თავდასხმა. „უკრაინის ხელისუფლება განაგრძობს ძველი ეკლესიის სასტიკ დევნას, რომელიც დაარსდა უკრაინაში ქრისტიანობის შემოსვლის დღიდან“, – წერს მთავარეპისკოპოსი თეოდოსი. ასე, მაგალითად, სულ ახლახან **განხორციელდა** მთავარანგელოზ მიქაელის საკათედრო ტაძრის მიტაცება ჩერკასის ეპარქიაში, რომლის დროსაც მმართველი ეპისკოპოსს სასტიკად სცემეს.

„კვლავ და კვლავ გვინდა გამოვხატოთ ჩვენი სრული სოლიდარობა და ღრმა მხარდაჭერა უკრაინის ერთადერთი კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, რომელსაც მიტროპოლიტი ონოფრე მეთაურობს და გადაჭრით ვგმობთ მის წინააღმდეგ კიევის ხელისუფლების ქმედებებს, რომლებიც ახლადშექმნილ ორგანიზაციასთან ერთად მოქმედებს, და რომელსაც ცრუდ და უსაფუძვლოდ უწოდებენ „მართლმადიდებელ ეკლესიას უკრაინისას“. აღვავლენთ ჩვენს ლოცვებს უფლის მიმართ, რათა მან დაიცვას და მხარი დაუჭიროს მოწამე-ეკლესიას, რომელიც უკრაინაში ჭეშმარიტებას მოწმობს, გააძლიეროს მისი წინამძღვარი, მიტროპოლიტები და მთელი სამღვდელოება, ასევე შეინარჩუნოს უკრაინელი ხალხი და ყველა ტაძარი ომით აოხრებულ მიწებზე, რომლის დასასრულებისთვისაც ჩვენ ასე მხურვალედ ვლოცულობთ“, – ნათქვამია სებასტის მთავარეპისკოპოს თეოდოსის განცხადებაში.

„როდემდე გაგრძელდება ამ ჩვენი და-ეკლესიის დევნა?! უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმები მიმართულია მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაზე, და ყველა მათგანმა ერთობლივი ძალისხმევით უნდა შეაჩეროს უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებები და დევნა“, – მოუწოდებს ეპისკოპოსი თეოდოსი.

მღვდელთმთავარმა კვლავ მოუწოდა გაერო-ს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, „საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა, მეტი ყურადღება მიაქციონ იმ დევნას, რომელსაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია განიცდის და პატივისცემით მოეკიდონ ამ ეკლესიის სიძველესა და ისტორიას“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92390/